

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო
სტანდარტების განყოფილება

სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში

მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების
დასახმარებლად

(მე-2 შესწორებული და შევსებული გამოცემა)

თბილისი 2012

025.3

ს 47

შემდგენელი: ნ. ქავთარაძე

რედაქტორები: გ. თაყნიაშვილი მ. ზამბახიძე

რეცენზირებულია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ

სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების დასახმარებლად . – მე-2 შესწ. და შევს. გამოც. / საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბ-კა ; შემდგ.: ნ. ქავთარაძე, რედ.: გ. თაყნიაშვილი . – თბ., 2011. – 32 გვ.

წიგნის ელექტრონული ვერსია იხილეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე www.nplg.gov.ge

ISBN 978-9941-0-4005-4

შესავალი

ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში სიტყვათშემოკლებ-ის წესები ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2007 წელს გამოსცა. წინამდებარე გამოცემაში შესწორდა ზოგიერთი სიტყვის შემოკლების წესი, დაემატა ისეთი ცნებები და სიტყვები, რომლებიც არ იყო წინა გამოცემაში; წინამდებარე გამოცემას დაემატა აგრეთვე ქართული პერიოდული გამოცემებისა და ზოგიერთი სერიების შემოკლებათა ნიმუშები, რომლებიც გამოიყენება ასეთი გამოცემებისათვის საერთაშორისო სტანდარტული ნომრის (ISSN) მიკუთვნების დროს.

წინამდებარე მეთოდურ-ინსტრუქციულ წერილში მოცემულია ქართულ ენაზე სიტყვათა შემოკლების საერთო მოთხოვნები და წესები და აგრეთვე სიტყვათა შემოკლების განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც ხშირად გვხვდება ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში.

სიტყვათა შემოკლებანი გამოიყენება ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შედგენისას სათაურთან დაკავშირებულ და საგამომცემლო ცნობებში, რაოდენობით დახასიათებებში, ზესათაურულ მონაცემებში, შენიშვნებში, ანოტაციებსა და დამხმარე აღწერილობის შესახებ ცნობებში.

ბეჭდვითი პროდუქციის განსაკუთრებული სახეებისა (ნოტების, კარტოგრაფიული გამოცემების, ნორმატიულ-ტექნიკური და ტექნიკური დოკუმენტების) და საცნობარო აპარატის გამოცემების აღწერილობებში მიღებულია გამოყენებულ იქნეს:

- განსაკუთრებული შემოკლებანი, რომლებიც ამ წერილში არ არის გათვალისწინებული;
- შემოკლებათა უფრო მოკლე ვარიანტები, რომლებიც ამ წერილში არის გათვალისწინებული;

ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში დაშვებულია საერთაშორისო ორგანიზაციების აბრევიატურების გამოყენება, თუ ბიბლიოგრაფიულ მანუალებელში, კატალოგსა ან სხვა საცნობარო აპარატში მოცემულია მისი გაშიფრვა.

1. სიტყვათა შემოკლებათა გამოყენება

- 1.1. სიტყვების შემოკლება შესაძლებელია ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყველა სფეროსა და ჩანაწერის სხვა ნაწილებში, ქვესათაურში, ანოტაციაში, რეფერატში, მოცემულ წერილზე თანდართულ შემოკლებათა სიის გათვალისწინებით;
- 1.2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყოველ ელემენტში ქართული სიტყვების შემოკლების რეკომენდაციები ეყრდნობა ქართულ ენაში მიღებული სიტყვათა შემოკლებისა და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენის მოქმედ წესებს;
- 1.3. არ შეიძლება სიტყვების შემოკლება ძირითადასა და პარალელურ სათაურებში;
- 1.4. სიტყვების შემოკლება თავსათაურში, რომელიც დოკუმენტის შესახებ ცნობებშია მოცემული, ხდება ანალიტიკური აღწერილობის შედგენის წესების შესაბამისად;
- 1.5. სიტყვების შემოკლება დაუშვებელია, თუ ის გამოიწვევს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტექსტის სხვაგვარ გაგებას.

2. სიტყვების შემოკლების საერთო წესები

- 2.1. სიტყვები უნდა შემოკლდეს აქ მოყვანილი წესებისა და სიტყვათა შემოკლების ნიმუშების მიხედვით;
- 2.2. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ძირითადი სათაური და მისი შემადგენელი სიტყვები არ შეიძლება შემოკლდეს. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება შემოკლდეს ისე, რომ არ შეიცვალოს შინაარსი და არ დაირღვეს მისი გრამატიკული წყობა;
- 2.3. ქართული ენის გრამატიკული წესების თანახმად სიტყვის შემოკლება დაშვებულია მხოლოდ თანხმოვანზე (ამ თანხმოვანს უნდა მოსდევდეს ხმოვანი) ისე, რომ სიტყვამ არ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა (შინაარსი). ამასთანავე, არ შეიძლება დარჩეს ორ ასოზე ნაკლები, გარდა რამდენიმე სიტყვის გავრცელებული შემოკლებისა, როდესაც რჩება მხოლოდ სიტყვის ერთი ასო, რის შემდეგაც დაისმის წერტილი. ასეთებია: ტომი – ტ.; წელი – წ.

ამის გარდა, ხშირად იხმარება საყოველთაოდ მიღებული შემოკლებები:

ასე შემდეგ – ა. შ.	ეგრეთწოდებული – ე. წ.
ამა წლის – ა. წ.	იხილე – იხ.
და სხვა – და სხვ.	ნახე – ნ.
ესე იგი – ე. ი.	

2.4. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ქართულ სიტყვათა შემოკლების წესები:

1. რჩება მხოლოდ სიტყვის ერთი ასო, რის შემდეგაც დაისმება წერტილი;

მაგ.: წელი – წ.

2. ჩამოსცილდება სიტყვის ბოლო ნაწილი, რომელიც უნდა შეიცავდეს ორ ასოზე მეტს. შემოკლების შემდეგ დაისმება წერტილი;

მაგ.: ანოტაცია – ანოტ.

3. სიტყვას აკლდება რამდენიმე ასო შუაში. თუ შემოკლებული სიტყვა მთავრდება იმავე ასოზე, რომელზედაც სრული სიტყვა, შემოკლებული სიტყვის ბოლოს წერტილი არ დაესმება;

მაგ.: ბიბლიოთეკა – ბიბ-კა

2.5. ერთი და იმავე ძირებისგან წარმოქმნილი სიტყვები მოკლდება ერთნაირად;

მაგ.: რედაქტორი – რედ.

რედაქტირებულია – რედ.

2.6. ორი და მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული სიტყვების შემოკლება ხდება დადგენილი საერთო წესით:

1. მოკლდება მხოლოდ პირველი სიტყვა;

მაგ.: პედაგოგიური ინსტიტუტი – პედინსტიტუტი

პედაგოგიური სასწავლებელი – პედსასწავლებელი

ასეთი შემოკლებით მიღებულ სიტყვებში შემოკლდება სიტყვის მეორე ნაწილი.

მაგ.: პედინ-ტი; პედსასწ. და სხვ.

2. მოკლდება ორივე სიტყვა;

მაგ.: რაიონული კომიტეტი – რაიკომი

ან პირველი სიტყვის ფუძესთან შეერთებულია მომდევნო სიტყვის თავკიდური ბგერები.

მაგ.: რიონის ჰიდროელექტროსადგური – რიონჰესი

ენგურის ჰიდროელექტროსადგური – ენგურჰესი

ასეთი სიტყვების შემოკლება დაუშვებელია.

3. შემოკლდება რთული სიტყვის ერთი ან რამდენიმე ნაწილი.

მაგ.: სატიტულო ფურცელი – სატიტ. ფ.

2.7. რთული შედგენილობის სიტყვები, რომლებიც დეფისით იწერება, შემოკლდება საერთო წესით, თითოეულს დაესმის წერტილი და გაიყოფა დეფისით.

მაგ.: ასტრონომიულ-გეოდეზიური

ასტრონომ.-გეოდეზ.

სოციალურ-ეკონომიკური

სოც.-ეკონომ.

2.8. სხვა სიტყვებთან დაკავშირებული სიტყვების შემოკლება ხდება მაშინ, როდესაც ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერშიც ეს სიტყვები ასევეა დაკავშირებული ერთმანეთთან. ასეთი შემოკლება არ გამოიყენება, თუ ეს სიტყვა აღწერილობაში გვხვდება სხვა სიტყვასთან კავშირში.

მაგ.: ავტონომიური – (ავტ.) მოკლდება მხოლოდ სიტყვათა დაკავშირებაში „ავტონომიური ოლქი“.

ხელმძღვანელობა – (ხელმძღ.) მოკლდება მხოლოდ მაშინ, თუ არის „ხელმძღვანელობით“ და „საერთო ხელმძღვანელობით“. სხვა შემთხვევებში სიტყვები „ავტონომიური“ და „ხელმძღვანელობა“ არ შეიძლება შემოკლდეს.

2.9. სიტყვები, რომელთა დაბოლოებაა: -ალური, -ებელი, -ობრივი, -იალური, -იკური, -ენტული, შემოკლდება ამ დაბოლოებათა ჩამოცილებით.

მაგ.: ცენტრალური – ცენტრ.; ავტორიზებული – ავტორიზ.;

საზოგადოებრივი – საზოგად.; ოფიციალური – ოფიც.

2.10. იმ სიტყვებს, რომელთა დაბოლოებაა: -აფიუღი, -ლოგიური, -ნომიული, ჩამოსცილდება მხოლოდ ეს დაბოლოებები.

მაგ.: გეოგრაფიული – გეოგრ.

არქეოლოგიური – არქეოლ.

ასტრონომიული – ასტრონ.

2.11. სიტყვებს, რომელთა დაბოლოებაა: -იური, -იანი, ჩამოსცილდება ისინი და შემოკლდება შემდეგნაირად:

მაგ.: ორწლიანი – ორწლ.;

კავკასიური – კავკას.;

შვიდწლიანი – შვიდწლ.;

ყოველწლიური – ყოველწლ.

მაგრამ თუ დოკუმენტზე ასეთი სიტყვების პირველი ნაწილი ციფრებით არის გამოსახული, ის არ შემოკლდება. მაგ.: არ შემოკლდება „7-წლიანი“.

2.12. გეოგრაფიული სახელების შემოკლება ხდება დაბოლოებების ჩამოსცილებით. ასეთებია: -ური, -ული, -იური, -იული.

მაგ.: ბელგიური – ბელგ.

ბერძნული – ბერძნ.

ბულგარული – ბულგ.

2.13. დაუშვებელია სიტყვების შემოკლება მხოლოდ ბოლო ასოს მოცილებით;

2.14. დაუშვებელია სიტყვის შემოკლება, თუ ის წინადადების ერთადერთი წევრია;

2.15. არ შემოკლდება ის სიტყვა, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში მნიშვნელოვანია და მისი შემოკლებით აზრი დაირღვევა;

2.16. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ხშირად ხმარებული სიტყვების შემოკლებათა სია მოცემულია ამ წერილის მე-4 განყოფილების №1 და №2 ცხრილებში.

3. სიტყვათა შემოკლების წესები ბიბლიოგრაფიული
აღწერილობის ცალკეულ სფეროებში

3.1. ავტორობის შესახებ ცნობების სფეროში აღინიშნება მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დოკუმენტის შექმნაში. ასეთებია: ავტორი, შემდგენელი, მთარგმნელი, რედაქტორი და ა. შ. სიტყვების შემოკლება დაშვებულია შემდგენაირად:

ავტორი – ავტ.;

შემდგენელი – შემდგ.;

რედაქტორი – რედ.; და ა. შ.

ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში არ შეიძლება შემოკლდეს ავტორთა და მათთან გათანაბრებულ პირთა (თანაავტორების, მთარგმნელების, შემდგენლების და სხვ.) გვარები;

3.2. გამოცემის შესახებ ცნობების სფეროში აღინიშნება მონაცემები დოკუმენტის განმეორებითი გამოცემის ან მისი დახასიათების შესახებ. თუ დოკუმენტზე რიგითი ნომერი არააბული ციფრებით არის აღნიშნული, მაშინ ასე შემოკლდება:

მაგ.: მე-2 შესწორებული გამოცემა – მე-2 შესწ. გამოც.

მე-3 ფაქსიმილური გამოცემა – მე-3 ფაქსიმ. გამოც.

3.3. საგამომცემლო ცნობების სფეროში გამოცემის ადგილის აღნიშვნისას შემოკლდება მხოლოდ „თბილისი“ – „თბ.“

დანარჩენი ქალაქების სახელწოდებანი არ მოკლდება და იწერება მთლიანად. მაგ.: ბათუმი, თელავი, ლონდონი და ა. შ.

3.4. თუ დოკუმენტზე არ არის აღნიშნული გამოცემის წელი, მაშინ შემოკლებით იწერება „წ. ა.“ (წელი არ არის).

3.5. არ შემოკლდება გამოცემლობების ერთსიტყვიანი სახელწოდებანი. მაგ.: ნაკადული, განათლება, სამშობლო, პლანეტა, აზრი, არტანუჯი, ლოგო და ა. შ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს (შპს) საგამომცემლობების აღნიშვნისას თვით დასახელება დაიწერება მთლიანად, მის წინ კი – შპს.

მაგ.: შპს „ატლასი“;

შპს „კაბადონი“.

ზოგიერთი გამომცემლობის დასახელებას წინ უძღვის სიტყვები: „საგამომცემლო სახლი“, „საგამომცემლო ფირმა“ ან „პოლიგრაფიული ფირმა“, რომლებიც ასე შემოკლდება:

მაგ.: საგამომცემლო სახლი „ელფი“ – სს „ელფი“

საგამომცემლო ფირმა „ლამპარი“ – სფ „ლამპარი“

პოლიგრაფიული ფირმა „მოდემი“ – პოლიგრ. ფირმა „მოდემი“

3.6. იმ გამომცემლობათა სახელწოდებებში, რომლებიც ორ და მეტსიტყვიანია, ზოგიერთი სიტყვა შემოკლდება და ზოგიერთი – არა.

მაგ.:

1. ახალი საქართველო – ახ. საქართველო;

2. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ბ. სულაკაურის გამ-ბა;

3. სარეკლამო – საგამომცემლო ფირმა „ბენეფისი“ – სარ. საგამ. ფ. „ბენეფისი“;

4. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობა – გაერთ. ბიბლიური საზ-ის საქ. წარმომადგენლობა;

5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა – თბ. სახელმწ. უნ-ის გამ-ბა;

6. საგამომცემლო-საეკლესიო გამომცემლობა „კანდელი“ – საგამომც.-საეკლ. გამ-ბა „კანდელი“.

3.7. რაოდენობითი დახასიათების სფეროში დოკუმენტის გვერდების რაოდენობის აღნიშვნისას რიცხვის შემდეგ შემოკლებით იწერება მხოლოდ – გვ. (გვერდი). ამავე სფეროში შემოკლებით აღინიშნება დოკუმენტზე დართული სხვა თანმხლები მასალები.

მაგ.: 2 ფაქსიმილური პორტრეტი – 2 ფაქსიმ. პორტრ.

4 ილუსტრაცია – 4 ილ. ან ილუსტრ.

3 ცალკეული ფაქსიმილური რუკა – 3 ცალკ. ფაქსიმ. რუკა (რუკა არ მოკლდება).

2 ფაქსიმილური ცხრილი – 2 ფაქსიმ. ცხრ.

3.8. თუ გამოცემა სერიულია, მაშინ შემოკლებით დაიწერება სიტყვები:

ბიოგრაფია – ბიოგრ.

ნაკვეთი – ნაკვ.

3.9. შენიშვნების სფეროში გამოცემის შესახებ არსებული ცნობები შემდეგნაირად შემოკლდება:

სახელთა საძიებელი – სახელთა საძ.

ნაწილი სტატიებისა რუსულ ენაზე – ნაწ. სტატ. რუს. ენაზე

3.10. დოკუმენტის ფასი აღინიშნება ერთი ასოთი:

ლარი – ლ.;

თეთრი – თ.

მაგ.: 3 ლ. 50 თ.

3.11. სიტყვათა შემოკლების საერთო წესის შესაბამისად დაუშვებელია გაზეთების, ჟურნალებისა და სერიული გამოცემების ერთსიტყვიანი სათაურების შემოკლება.

მაგ.: სარკე; გუმბათი; განთიადი; სპექტრი; სვეტიცხოველი; ჭიაბაია; თემიდა; ბატიბუტა და სხვ.

ასევე დაუშვებელია გაზეთების, ჟურნალებისა და სერიული გამოცემების იმ სათაურების შემოკლება, რომლებიც ორი, სამი და ზოგ შემთხვევაში მეტი მოკლე სიტყვათა კომპლექსისაგან შედგება.

მაგ.: სკოლის მართვა; რა არის რა; ასი ლექსი; ყველა სიახლე; სიტყვა და საქმე; ნატერის ხე; პრაიმ ტაიმი; გული გონიერი; ცხრა მთას იქით და სხვ.

4. სიტყვათა შემოკლების სიხის გამოყენების პირობები

- 4.1. სიტყვების სია, რომელიც ამ მასალას ერთვის, ორი ნაწილისგან შედგება:
 1. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ხშირად გამოყენებულ სიტყვათა შემოკლება (ცხრილი 1);
 2. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელებისაგან ნაწარმოები სიტყვების შემოკლება (ცხრილი 2).

**ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ხშირად გამოყენებული
სიტყვების შემოკლებები**

ა

- აბსტრაქტული – აბსტრ.
აბზაცი – აბზ.
აგვისტო – აგვ. *(მაგრამ: აგვისტოსი)*
აგიტატორი – აგიტ
აგრარული – აგრარ.
აგრეოვე – აგრ.
აგრონომიული – აგრონომ.
ადაპტაცია – ადაპტ.
ადმინისტრაციული – ადმ. *(მოკლდება აღწერილობის თავსათაურშიც)*
ავტობიოგრაფია – ავტობიოგრ.
ავტოგრაფი – ავტოგრ.
ავტონომიური – ავტონომ.
ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – ასსრ
ავტორეფერატი – ავტორეფ.
ავტორი – ავტ.
ავტორიზებული – ავტორიზ.
ავტორიტეტული – ავტორიტ.
ათი ფილოსოფიური თხზულება – ათი ფილოსოფ. თხზ.
აკადემია – აკად.
აკადემიკოსი – აკად. *(მხოლოდ გვარის წინ)*
ალმანახი – ალმ.
ალფაბეტური – ალფაბ.
ამა წლის – ა. წ.
ამერიკის შეერთებული შტატები – აშშ; *(მხოლოდ აღწერილობის თავსათაურში)*
ამხანაგობა – ამხ-ბა
ანალიტიკური – ანალიტ.
ანალიტიკური აღწერილობა – ანალიტ. აღწ.
ანატომია – ანატ.
ანბანური – ანბან.
ანდაზა – ანდ.
ანთოლოგია – ანთოლ.

ანთროპოლოგიური – ანთროპ.
ანოტაცია – ანოტ.
ანოტირებული – ანოტირ.
ანტირელიგიური – ანტირელიგ.
აპრილი – აპრ.
არსებული – არსებ.
არქეოლოგია – არქეოლ.
არქიტექტორი – არქიტ.
ასე შემდეგ – ა. შ.
ასისტენტი – ასისტ.
ასოციაცია – ასოც.
ასტრონომია – ასტრ.
აუდიო-ვიზუალური – აუდ.-ვიზ.
აფხაზეთის სერია – აფხაზ. სერ.
აღმასრულებელი კომიტეტი – აღმასკომი
აღმოსავლეთი – აღმ.
აღწერილობა – აღწ.
აღწერილობის – აღწ-ის
ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირი – ალკკ
ახალი სერია – ახ. სერ.
ახალი წელთაღრიცხვით – ახ. წ.

ბ

ბაქტერიოლოგიური – ბაქტერიო.
ბეჭდვითი – ბეჭდვ.
ბეჭდური – ბეჭდ.
ბიბლიოგრაფია – ბიბლიოგრ.
ბიბლიოთეკა – ბიბ-კა
ბიბლიოთეკათმცოდნეობა – ბიბმცოდნ.
ბიბლიური – ბიბლ.
ბიზნესი და კანონმდებლობა – ბიზნ. და კანონმდ.
ბიზნესი და მენეჯმენტი – ბიზნ. და მენეჯმ.
ბიოგრაფია – ბიოგრ.
ბიოლოგია – ბიოლ.
ბიულეტენი – ბიულ.
ბოლოსიტყვაობა – ბოლოსიტყვ.
ბოტანიკა – ბოტ.
ბროშურა – ბროშ.
ბრძანებითი – ბრძ.
ბუღალტერია – ბუღ.

ბ

გაგრძელება – გაგრძ.
გადამუშავებული – გადამუშ.
გადაკეთებული – გადაკეთ.
გადატანითი (მნიშვნელობა) – გადატ.
გადმოკეთებული – გადმოკეთ.
გაერთიანება – გაერთ.
გაზეთი – გაზ.
გამავრცელებელი – გამავრც.
გამომგონებელი – გამომგ.
გამომცემელი – გამომც.
გამომცემლობა – გამ-ბა
გამომცემლობის გარეშე – გამ-ბა ა. ა.
გამოქვეყნებული – გამოქვეყნ.
გამოყოფილი – გამოყოფ.
გამოშვება – გამოშვ.
გამოცემა – გამოც.
გამოცემის ადგილი არ არის – გამოც. ადგ. ა. ა.
გამოცემის წელი არ არის – გამოც. წ. ა. ა.
განათლება, განათლების – გან-ბა, გან-ბის
განაკვეთი – განაკვ.
განახლებული – განახლ.
განთიადი – არ შემოკლდება
განმარტება – განმარტ.
განმეორებითი – განმ.
განყოფილება – განყ-ბა
გაფართოებული – გაფართ.
გენერალი – გენ. (*მხოლოდ გვარის წინ*)
გენერალური შტაბი – გენ. შტაბი
გეოგრაფია – გეოგრ.
გეოდეზია – გეოდეზ.
გეოლოგია – გეოლ.
გეომეტრიული – გეომეტრ.
გერონტოლოგია და გერიატრია – გერონტ. და გერიატრ.
გვერდი – გვ.
გრაფიურა – გრაფ.
გრამატიკა, გრამატიკული – გრამ., გრამ-ლი
გუმბათი – არ შემოკლდება

დ

და ასე შემდეგ – და ა. შ.
დაბეჭდილი (ა) – დაბეჭდ.
დაზუსტებული – დაზუსტ.
დაკეცილი – დაკეც.
დაკომპლექტება – დაკომპლ.
დამატებითი – დამატ.
დამსახურებული (ა) – დამსახ.
დამტკიცებული (ა) – დამტკ.
დამუშავებული (ა) – დამუშ.
დამხმარე ბარათი – დამხმ. ბარ.
დამხმარე აღწერილობა – დამხმ. აღწ.
დასასრული – დასასრ.
დასახელება – დასახ.
დასწრებული – დასწრ.
და სხვა – და სხვ.
დაუნომრავი – დაუნომრ.
დაუსწრებელი – დაუსწრ.
დაშეებული(ა) – დაშე.
დაწესებულება – დაწესებ.
დეკემბერი – დეკ. (*მაგრამ: დეკემბრის*)
დემოკრატიული – დემოკრ.
დეპოზიტარული – დეპოზ.
დეფექტური – დეფ.
დიაპოზიტივი – დიაპოზ.
დიაფილმი – დ. ფ.
დიგიტალიზაცია – დიგიტალ.
დიპლომატიური – დიპლომ.
დისერტაცია – დისერ.
დოკუმენტი – დოკ.
დოქტორი – დოქტ., დ-რი
დოცენტი – დოც. (*მხოლოდ გეარის წინ*)
დრამატული – დრამ.
დუბლიკატი – დუბლ.

ე

ეგზეგლარი – ეგზ.
ეგრეთწოდებული – ე. წ.
ევროპული ძიებანი – ევროპ. ძიებანი
ეთნოგრაფიული – ეთნოგრ.
ეთნოლოგიური – ეთნოლოგ.
ეკვატორი – ეკვატ.
ეკლესიური – ეკლეს.
ეკონომიკა – ეკონ.
ეკონომიკურ-ადმინისტრაციული – ეკონ.-ადმინ.
ელექტრონული – ელექტრ.
ემიგრანტული – ემიგრ.
ენერგეტიკული – ენერგ.
ენციკლოპედია – ენციკლ.
ესე იგი – ე. ი.
ესპერანტო – ესპერ.
ექსპერიმენტული – ექსპერ.
ექსპრესინფორმაცია – ექსპრ. ინფორმ.

ვ

ვაჭრობა – ვაჭრ.
ვეტერინარული – ვეტერ.
ვიდეოგრაფია – ვიდეოგრ.
ვიდეომაგნიტოფონი – ვიდეომაგნ.
ვიდეოფონოგრაფია – ვიდეოფონ.
ვულგარული – ვულგ.

ზ

ზოოლოგია – ზოოლ.
ზოოტექნიკა – ზოოტექნ.

თ

თავფურცელი – თავფურ.
თანაავტორი – თანაავტ.
თანამედროვე – თანამედ.
თანამშრომლობა – თანამშრ.
თანარედაქტორი – თანარედ.

თარგმანი – თარგმ.
თბილისი, თბილისის – თბ., თბ-ის
თბილისელები – არ შემოკლდება
თეატრი – თეატრ.
თებერვალი – თებ.
თეთრი – თ.
თემატური – თემატ.
თეოლოგიური – თეოლოგ.
თხზულებანი – თხზ.

ი

იანვარი – იანვ. (მაგრამ: იანვრის)
ივლისი – ივლ. (მაგრამ: ივლისის)
იენისი – იენ. (მაგრამ : იენისის)
ილუსტრაცია – ილ. (მხოლოდ გვარის წინ)
ინდექსი – ინდ.
ინდუსტრიული – ინდუსტრ.
ინჟინერი – ინჟ. (მხოლოდ გვარის წინ)
ინსტიტუტი – ინ-ტი
ინსტრუქცია – ინსტ.
ინტელექტუალური – ინტელექტ.
ინტერნაციონალური – ინტერნაც.
ინფორმაცია – ინფორმ.
ისტორიული – ისტორ.
ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი – ისტ.-ფილოლ. ძიებანი
იურიდიული – იურიდ.
იხილე – იხ.
იხმარება – იხმ.

კ

კავკასიის ეთნოლოგიური ძიებანი – კავკ. ეთნოლოგ. ძიებანი
კავკასიური ეტიუდები – კავკ. ეტიუდ.
კანდიდატი – კანდ. (მხოლოდ გვარის წინ)
კარიბჭე – არ შემოკლდება
კარტოგრაფია – კარტოგრ.
კარტოთეკა – კარტოთ.
კატალოგი – კატ.
კერძო გამოცემა – კ. გამოც.

კვირის პალიტრა – კვ. პალიტრა
 კვლევითი – კვლევ.
 კლასიკური – კლას.
 კლინიკური – კლინ.
 კოლექტიური – კოლექტ.
 კოლექცია – კოლ.
 კოლხური სერია – კოლხ. სერ.
 კომენტარი – კომენ.
 კომერციული – კომერც.
 კომიკური – კომიკ.
 კომისარიატი – კომისარ.
 კომისია – კომის.
 კომიტეტი – კომიტ.
 კომპანია – კომპ.
 კომპიუტერი – კომპიუტ.
 კომპოზიტორი – კომპოზ.
 კომუნისტური – კომუნ.
 კომუნისტური პარტია – კპ., კომპარტია; *(მხოლოდ სსრკ რესპუბ-
ლიკების დასახელებაში)*
 კომუნისტური ინტერნაციონალი – კომუნ. ინტერნ.
 კონგრესი – კონგრ.
 კონფერენცია – კონფ.
 კოოპერაციული – კოოპ.
 კორესპონდენტი – კორესპ. *(მხოლოდ პრესის დასახელებისას)*
 კორექტორი – კორექტ.
 კორპორაცია – კორპ.
 კრებული – კრ.
 კრებულში – კრ-ში
 კრებულიდან – კრ-დან
 კრიტიკოსი – კრიტ.
 კრიტიკული – კრიტ-ლი
 კუთხური – კუთხ.
 კულტურულ-საგანმანათლებლო – კულტ.-საგანმ.

ლ

ლაბორატორია – ლაბ.

ლარი – ლ. *(მხოლოდ ციფრთან, ფასის აღნიშვნისას)*

ლითოგრაფია – ლითოგრ.

ლინგვისტიკა (ენათმეცნ.) – ლინგვ.

ლინგვოკულტურული ძიებანი – ლინგვოკულტ. ძიებანი

ლიტერატურა – ლიტ-რა; *(მხოლოდ ბეჭდვით მონაცემებსა და შენიშვნებში)*

ლიტერატურათმცოდნეობა – ლიტ. მცოდნ.

ლიტერატურული აღმანახი – ლიტ. აღმანახი

ლიტერატურული დამუშავება – ლიტ. დამუშავება

ლოგიკური – ლოგიკ.

მ

მაგალითად – მაგ.

მაგისტრატურა – მაგისტრ.

მათემატიკური – მათემ.

მასწავლებელი – მასწ.

მაჩვენებელი – მაჩვ.

მდინარე – მდ. *(მხოლოდ გეოგრაფიულ დასახელებასთან)*

მებაღეობა – მებაღ.

მეგობრობა – მეგობრ.

მედიცინა – მედ.

მევენახეობა – მევენახ.

მეთოდური – მეთოდ.

მემკვიდრეობა – მემკვ.

მემორიალური – მემორ.

მემცენარეობა – მემცენ.

მეტალურგია – მეტალ.

მეტეოროლოგიური – მეტეოროლ.

მექანიკური – მექან.

მეცნიერება, მეცნიერი – მეცნ.

მეცნიერება და ცხოვრება – მეცნ. და ცხოვრ.

მთავარი – მთ.

მთარგმნელი – მთარგმ. *(მხოლოდ გვარის წინ)*

მითითებული არ არის – მითით. ა. ა.

მითოლოგია – მითოლ.

მიკროფოტოასლი – მფა

მმართველობა – მმართვე.
 მნიშვნელობა – მნიშვნ.
 მოგზაური – არ შემოკლდება
 მომხსენებელი – მომხს.
 მონოგრაფიული – მონოგრ.
 მოქალაქე – მოქ. (მხოლოდ გვარის წინ)
 მოქმედება – მოქმ.; (იხმარება ქვესათაურში დრამატული ნაწარმოე
 ბის აღწერისას)
 მოძველებული – მოძვ.
 მოძღვარი – მოძღვ.
 მოხსენება – მოხს.
 მრავალტომეული – მრავ. ტ-ლი
 მრეწველობა – მრეწვ.
 მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები – მსოფ. ლიტ-ის კლასიკ.
 მსოფლიო რჩეული მოთხრობები – მსოფ. რჩ. მოთხ.
 მსოფლიო შედევრები ბავშვებს – მსოფ. შედ. ბავშვ.
 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები – მსოფ. ხალხ. ზღაპრ.
 მულტიმედია – მულტიმედ.
 მუზეუმის მაცნე – მუზ. მაცნე
 მუსიკა – მუს. (თუ სათაურია, არ შემოკლდება)
 მწერალი – მწერ. (მხოლოდ გვარის წინ)
 მხარეთმცოდნეობა – მხარეთმც.
 მხატვრობა, მხატვარი – მხატვ. (მხოლოდ გვარის წინ)
 მხატვრული – მხატვრ.

6

ნაკვეთი – ნაკვ. (შემოკლდება მხოლოდ ციფრთან)
 ნაციონალური – ნაციონ.
 ნაწილი – ნაწ. (შემოკლდება მხოლოდ ციფრთან)
 ნახაზი – ნახ.
 ნახატი – ნახ.
 ნახე (იხილე) – ნ. ან იხ.
 ნოემბერი – ნოემბ. (მაგრამ: ნოემბრის)
 ნომერი – №
 ნორჩი მართლმადიდებლის ბიბლიოთეკა – ნორჩი მართლმ. ბიბ-კა
 ნოტები – ნოტ.

ო

ობიექტი – ობ.
ოპერატიული – ოპერატ.
ორკვირეული – ორკვ.
ორგანიზაციული – ორგანიზ.
ორთვიური – ორთვ.
ორთოგრაფიული – ორთოგრ.
ორიგინალი – ორიგ.
ოფიციალური – ოფიც.
ოქტომბერი – ოქტ. (მაგრამ: ოქტომბრის)

პ

პაგინაცია – პაგ.
პალეოგრაფია – პალეოგრ.
პარაგრაფი – პარაგრ.
პარალელური – პარალ.
პარტიული – პარტ.
პასუხისმგებელი რედაქტორი – პ/მგ. რედ.
პედაგოგიური – პედაგოგ.
პერიოდული – პერიოდ.
პერსონალური – პერსონ.
პირველწყარო – პირვ. წყ.
პოეტური – პოეტ.
პოლიგრაფიული – პოლიგრ.
პოლიტექნიკური – პოლიტექ.
პოლიტიკური – პოლიტ.
პოპულარული – პოპულ.
პორტრეტი – პორტრ.
პროგრამა – პროგრ.
პროსპექტი – პროსპ.
პროფესიული – პროფეს.
პროფესიული კავშირი – პროფკავშირი
პროფესორი – პროფ. (მხოლოდ გვართან)

ქ

ქურნალი – ქურნ. *(ქურნალის ან გამოცემის სახელწოდების დასახელებისას)*

რ

რაიონი – რ-ნი

რაიონული – რ-ლი

რეზიუმე – რეზ.

რეგულაციური კომიტეტი – რეგულ. კომიტ.

რედაქტორი – რედ.

რედაქცია – რედაქც.

რეკომენდაცია – რეკომენ.

რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი – რელიგიათმც. ძიებანი

რელიგიური – რელიგ.

რეპროდუქცია – რეპროდ.

რესპუბლიკური – რესპ.

რეტროსპექტიული – რეტროსპექტ.

რეფერატი – რეფერ.

რეცენზია – რეც.

რეეული – რე.

რუბრიკა – რუბრ.

რუბრიკატორი – რუბრ.

რუსეთის კომუნისტური პარტია – რკპ

რუსული – რუს.

ს

სააგიტაციო – სააგიტ.

სააგტორო – სააგტ.

სააქციო საზოგადოება – სააქც. საზ., ან სს

საბიბლიოთეკო – საბიბ-კო *(მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში)*

საბჭოთა – საბჭ.; *(მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. მაგ.: „საბ-ჭოთა საქართველო“)*

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია – სკკპ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – სსრ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – სსრკ

საგამომცემლო – საგამომც.

საგნობრივი – საგნ.

სადოქტორო – სადოქტ.

საეკლესიო – საეკლ.
საენათმეცნიერო ძიებანი – საენათმეცნ. ძიებანი
საერთაშორისო – საერთ.
საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია – საერთ. პოლიტ.
კვლევ. სერია
საერთო რედაქციით – საერთო რედ.
სავეტერინარო – სავეტერ.
საზოგადოება – საზ-ბა
სათაური – სათ.
სათაურის წინ – სათ. წინ
საინვენტარო – საინვ.
საინჟინრო – საინჟ.
საინფორმაციო – საინფ.
საისტორიო ვერტიკალები – საისტ. ვერტიკ.
საისტორიო მოამბე – საისტ. მოამბე
საკავშირო – საკავშ.
საკვლევი – საკვლ.
საკითხავნი ყმაწვილთათვის – საკითხ. ყმაწვილთ.
სალიტერატურო – სალიტ.
სამამულო – სამამ.
სამართალი – სამართ.
სამედიცინო – სამედ.
სამეცნიერო – სამეცნ.
სამეცნიერო და სახელოვნებო ნაშრომების კრებული – სამეცნ.
და სახელოვნ. ნაშრ. კრ.
სამეცნიერო-კვლევითი – სამეცნ.-კვლევ.
სამეცნიერო-პოპულარული – სამეცნ.-პოპულ.
სამთო ჟურნალი – სამთო ჟურნ.
სამინისტრო – სამინ.
სამოქალაქო – სამოქ.
სამრეწველო – სამრეწვ.
სამუზეუმო – სამუზ.
სამხატვრო – სამხატვ.
სამხედრო – სამხ.
სანიტარული – სანიტ.
სანტიმეტრი – სმ
საორგანიზაციო – საორგ.
საოჯახო ბიბლიოთეკა – საოჯ. ბიბ-კა
საჟურნალო – საჟურნ.

სარედაქციო კოლეგია – სარედ. კოლ.
სარეკლამო – სარეკლ.
სარეკომენდაციო – სარეკომ.
სარკე – არ შემოკლდება
სასაუბრო – სასაუბ.
სასოფლო-სამეურნეო – სას.-სამ.
სასწავლო – სასწ.
სატიტულო ფურცელი – სატიტ. ფ.
სატრანსპორტო – სატრანსპ.
საუკუნე – ს., საუკ.
საუკუნეები – სს
საფინანსო – საფინ.
საქართველო – საქ. (აღწერილობის თავსათაურშიც)
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე –
საქ. განათ. მეცნ. აკად. მოამბე
საქართველოს სიძველენი – საქ. სიძვ.
საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე – საქ. ფსიქოლ. მაცნე
საქალაქო – საქალ.
საყმაწვილო – საყმაწვ. (აღწერილობის თავსათაურშიც)
საშუალო – საშ.
სახალხო – სახ., სახალ.
სახელმძღვანელო – სახელმძღ.
სახელმწიფო – სახელმწ.
სახელობის – სახ.; (იხმარება აგრეთვე აღწერილობის თავსათაურში
ბიბლიოგრაფიის აღნიშვნისას)
სახელწოდება – სახელწ.
საძიებელი – საძ.
სეპარატისტული – სეპარ.
სერია – სერ.
სექტემბერი – სექტ.; (მაგრამ: სექტემბრის)
სვეტი – სვ.
სიმპოზიუმი – სიმპ.
სიტყვა და საქმე – არ შემოკლდება
სოფელი – სოფ.; (მხოლოდ დასახელების წინ)
სოციალისტური – სოც.
სოციოლოგიური – სოციოლ.
სოციალურ მეცნიერებათა სერია – სოც. მეცნ. სერ.
სოციალური ეკონომიკა – სოც. ეკონ.
სოციოკულტურული – სოციოკულტ.
სპეციალიზებული – სპეციალიზ.

სპეციალური – სპეც.
სპექტრი – არ შემოკლებს
სპორტული – სპორტ.
სრულად – სრ.
სრულტექსტოვანი – სრულტექსტ.
სტამბა – სტ.
სტატია – სტატ.
სტატისტიკური – სტატისტ.
სტენოგრამა – სტენოგრ.
სტერეოტიპული – სტერეოტიპ.
სტრატეგიული კვლევები – სტრატ. კვლევ.
სურათი – სურ.
სქემა – სქ.
სხეები – სხე.

ტ

ტაბულა – ტაბ.
ტერიტორიული – ტერიტ.
ტერმინოლოგია – ტერმინ.
ტექნიკური – ტექნ.
ტექნოლოგი – ტექნოლ.
ტირაჟი – ტირ.
ტიპოლოგიური – ტიპოლ.
ტომი – ტ.
ტოპოგრაფიული – ტოპოგრ.
ტრანსკრიფცია – ტრანსკრ.
ტრანსლიტერაცია – ტრანსლიტ.

უ

უმცროსი – უმც.
უმაღლესი – უმაღლ.
უნივერსალური – უნივერს.
უნივერსიტეტი – უნ-ტი
უნიკალური – უნიკ.
უნიფიცირებული – უნიფიც.
უფასო – უფ.
უფროსი – უფრ.
უცვლელი – უცვლ.
უცხოური – უცხ.

ფ

ფაბრიკა – ფ-კა
ფაკულტეტი – ფაკტი
ფანტასტიკური – ფანტასტ.
ფასი არ არის – ფ. ა. ა.
ფაქსიმილე – ფაქსიმ.
ფაქსიმილური გამოცემა – ფაქსიმ. გამ-მა
ფაქტოგრაფიული – ფაქტოგრ.
ფერწერა – ფერწ.
ფიზიკა-მათემატიკა – ფიზ.-მათ.
ფიზიკური – ფიზიკ.
ფიზიოლოგიური – ფიზიოლ.
ფილმოგრაფია – ფილმოგრ.
ფილოლოგიური – ფილოლ.
ფილოსოფიური – ფილოს.
ფინანსური – ფინანს.
ფოლკლორი – ფოლკ.
ფონეტიკური – ფონეტ.
ფონოგრამა – ფონოგრ.
ფოტოგრაფია – ფოტოგრ.
ფრაგმენტი – ფრაგმ.
ფრაზეოლოგიური – ფრაზეოლ.
ფსევდონიმი – ფსევდ.
ფსიქოლოგიური – ფსიქ.
ფუნდამენტური – ფუნდამენ.
ფურცელი – ფ. (რაოდენობითი დახასიათებისას)

ქ

ქართველოლოგია – არ შემოკლდება
ქართული – ქართ.
ქართული წყაროთმცოდნეობა – ქართ. წყაროთმც.
ქართული პროზის საგანძური – ქართ. პროზ. საგანძ.
ქართული სიტყვიერება – ქართ. სიტყვიერ.
ქვესათაური – ქვესათ.
ქიმია – ქიმ.
ქსეროასლი – ქს. ა.
ქსეროგრაფია – ქსეროგრ.

ყ

ყოველდღიური – ყოველდღ.
ყოველთვიური – ყოველთვ.
ყოველწლიური – ყოველწლ.

შ

შეადარე – შდრ.
შეერთებული – შეერთ.
შევსებული – შევსებ.
შეკვეთა – შეკვ.
შემდგენელი – შემდგ.
შემდეგი – შემდ.
შემოკლებული – შემოკლ.
შემუშავებული – შემუშ.
შემცირებული – შემც.
შენიშვნები – შენიშვ.
შესწორებული – შესწორ.

ჩ

ჩამონათვალი – ჩამონათვ.
ჩამოწერილი – ჩამოწ.
ჩანაწერები – ჩანაწ.
ჩართული ფურცელი – ჩართ. ფ.
ჩვენი მწერლობა – არ შემოკლდება
ჩვენი სკოლა – არ შემოკლდება

ც

ცალკეული – ცალკ.
ცენზურა – ცენზ.
ცენტრალური – ცენტრ.; (შემოკლდება სათაურშიც)
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი – ცაკი
ცენტრალური კომიტეტი – ცკ
ცნობარი – ცნობ.
ცნობის ფურცელი – ცნობის ფურც.
ცხოვრება და კანონი – ცხოვრ. და კანონი
ცხრილი – ცხრ.

ძ

ძეული – ძე.

ძეული წელთაღრიცხვით – ძე. წ.

ძირითადი – ძირ.

წ

წვერ-კორესპონდენტი – წ.-კორ.; *(მხოლოდ გვარის წინ)*

წელი, წელიწადი – წ.; *(მხოლოდ ციფრის შემდეგ)*

წელი არ არის – წ. ა.

წლები – წწ.; *(მხოლოდ ციფრის შემდეგ)*

წელიწდეული – არ შემოკლდება

წიგნი – წ.; *(მხოლოდ ტომის აღნიშვნისას)*

წიგნში – წგნ

წინასიტყვაობა – წინასიტყვ. *(დასახელების წინ)*

ხ

ხალხური – ხალხ.

ხელმძღვანელი – ხელმძღვ.

ხელნაწერი – ხელნაწ.

ხელოვნება – ხელ.

ხელოვნებათმცოდნეობა – ხელოვნებათმც.

**გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელებისგან
ნაწარმოები სიტყვების შემოკლებანი**

ავსტრალიური – ავსტრალ.
 ავსტრიული – ავსტრ.
 ავღანური – ავღან.
 აზერბაიჯანული – აზერბაიჯ.
 აზერბაიჯანის ასს – აზსსრ
 აზიური – აზ.
 ალბანური – ალბან.
 ალჟირული – ალჟირ.
 ამერიკული – ამერ.
 ანტარქტიკული – ანტარქტ.
 არაბული – არაბ.
 არქტიკული – არქტ.
 აფრიკული – აფრ.
 აფხაზური – აფხაზ.
 აღმოსავლური – აღმოს.
 ბაშკირული – ბაშკ.
 ბელგიური – ბელგ.
 ბელორუსული – ბელორ.
 ბენგალური – ბენგ.
 ბერძნული – ბერძნ.
 ბიზანტიური – ბიზანტ.
 ბრაზილიური – ბრაზილ.
 ბრიტანული – ბრიტ.
 ბულგარული – ბულგ.
 გერმანული – გერმ.
 დანიური – დან.
 დასავლეთი – დასავლ.
 დაღესტნური – დაღესტნ.
 ებრაული – ებრ.
 ეგვიპტური – ეგვიპტ.
 ევროპული – ევროპ.
 ესპანური – ესპ.
 ესტონური – ესტ.
 ვიეტნამური – ვიეტნ.

თათრული – თათრ.
 თბილისური – თბილ.
 თურქმენული – თურქმ.
 თურქული – თურქ.
 იაპონური – იაპ.
 იბერიული – იბერ.
 იმერული – იმერ.
 ინგლისური – ინგლ.
 ინდონეზიური – ინდონეზ.
 ინდური – ინდ.
 იორდანიული – იორდ.
 ირლანდიური – ირლანდ.
 ისლანდიური – ისლანდ.
 ისრაელი – ისრ.
 იტალიური – იტალ.
 იუგოსლავიური – იუგოსლ.
 კავკასიური – კავკ.
 კაზური – კაზ.
 ლათინური – ლათ.
 ლატვიური – ლატ.
 ლიტვიური – ლიტ.
 მაკედონიური – მაკედ.
 მეგრული – მეგრ.
 მოლდავიური – მოლდ.
 მონღოლური – მონღ.
 მექსიკური – მექს.
 მთიულური – მთიულ.
 მოხევეური – მოხევე.
 ოსური – ოს.
 პოლონური – პოლონ.
 პორტუგალიური – პორტუგ.
 რაჭული – რაჭ.
 რუმინული – რუმინ.
 რუსული – რუს.

სამხრეთული – სამხრ.
სვანური – სვან.
სკანდინავიური – სკანდ.
სლოვაკური – სლოვ.
სომხური – სომხ.
სპარსული – სპარს.
ტაჯიკური – ტაჯიკ.
უზბეკური – უზბეკ.
უკრაინული – უკრ.
უნგრული – უნგრ.
ფინური – ფინ.
ფლამანდიური – ფლამ.
ფრანგული – ფრანგ.

ქართველური – ქართვე.
ქართული – ქართ.
ყაზარდოული – ყაზარდ.
ყაზახური – ყაზ.
ყალმიკური – ყალმ.
ყირგიზული – ყირგ.
შვედური – შვედ.
შვეიცარული – შვეიც.
ჩინური – ჩინ.
ჩრდილოეთი – ჩრდ.
ხორვატიული – ხორვ.
პოლანდიური – პოლ.

შინაარსი

შესავალი	3
1. სიტყვათა შემოკლების გამოყენება	4
2. სიტყვების შემოკლების საერთო წესები	4
3. სიტყვათა შემოკლების წესები ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ცალკეულ სფეროებში	8
ცხრილი 1. – ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ხშირად გამოყენებული სიტყვების შემოკლებანი	11
ცხრილი 2. – გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელებისგან ნაწარმოები სიტყვების შემოკლებანი	28

